ცვლილება დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №12
12.11.2020წ.

რექტორი: _____ მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა

უნივერსიტეტის მისიის შესარულებლად, აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული მუშაობა, როგორც სასწავლო პროცესის ასევე სამეცნიერო მუშაობის განვითარებისათვის.

უნივერსიტეტი ინფორმაციულ ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებს, ინფორმაციის შენახვისთვის, კომუნიკაციისთვის, სასწავლო პროცესის წარმართვისა და ადმინისტრაციული მუშაობის პროცესში.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია IT უსაფრთხოება. ნებისმიერი სახის ინფორმაცია და ბაზური მონაცემები დაცულია კიბერ შეტევებისაგან.

უნივერსიტეტი ინფორმაციულ პოლიტიკას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

სასწავლო პროცესის მართვა:

1) კომპიუტერიზირებული საგამოცდო ცენტრი - უზრუნველყობს შუალედური და ფინალური გამოცდების ელექტრონულად ჩატარებას.
2) საგამოცდო მასალების ბაზა - პროგრამა უზრუნველყობს სპეციალური ალგორითმის საშუალებით ინდივიდუალური საგამოცდო ბილეთის შექმნას, საკითხების შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, რომელიც არ მეორდება.

3) სწრაფი შედეგი - სტუდენტმა იცის გამოცდის (ტესტის) შედეგი, გამოცდის დასრულებისთანავე და ქულა პროგრამას ავომატურად გადააქვს ელექტრონულ უწყისში.
4) აუდიტორიებში განლაგებული კომპიუტერები და პროექტორები, ასევე პლაზმური მონიტორები უზრუნველყოფენს სალექციო და სასემინარო მასალის ვიზუალიზაციას.
5) ბიბლიოთეკაში განლაგებული კომპიუტერული ტექნიკა, იძლევა საშუალებას, სწრაფად მოიძებნოს ლიტერატურა, სასწავლო მასალები, უზრუნველყოს სტუდენტისა და პერსონალის დაკავშირება საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან.
6) საბიბლიოთეკო სივრცე ასევე უზურნველყოფილია აუცილებელი ორგ-ტექნიკით (ქსეროქსი, სკანერი და ა.შ.).
7) დეკანატებში არსებული კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით, ხდება სასწავლო პროცესის მართვა, კომუნიკაცია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის შეუფერხებელი მუშაობა და ინფორმაციის მოძიება.

პერსონალის ადმინისტრირება:

1) პერსონალის სამუშაო განრიგის დასარეგულირებლად უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული აღრიცხვის მეთოდს.
2) ადმინისტრაციულ ერთეულებს აქვთ გამართული საოფისე ტექნიკა (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, დენის უწყვეტი წყარო), საოფისე სამუშაოს შუფერხებლივ შესასრულებლად.

კომუნიკაცია/ინტერნეტი:

1) უნივერსიტეტში უწყვეტად მუშაობს WIFI, თავისუფალი წვდომით სტუდენტების, ვიზიტორებისა და პერსონალისათვის.

2) ადმინისტრაციის თანამშრომლებს მიეწოდებათ უწყვეტად სწრაფი ინტერნეტი (გამოყოფილი ხაზი), მუშაობის შეუფერხებლად.

უსაფრთხოება:

1) უნივესრიტეტს აქვს დაცული შიდა ქსელი.

2) საკუთარი სერვერი (უნივერსიტეტის ინფორმაციის და ბაზების უსაფრთხოებისათვის).

3) ყველა კომპიუტერს აქვს ალტერნატიული უწყვეტი (UPS) კვების წყარო, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გათიშვისას ინფორმაციის შენახვას.

4) უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ალტერნატიული კვების წყაროთი (დიზელ-გენერატორით), რომელიც განაპირობებს უნივერსიტეტის შეუფერხებლად მუშაობას.

5) ქსელი უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით, კიბერ უსაფრთხოებისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურა რაოდენობრივად

1	საგამოცდო ცენტრი	84	კომპიუტერი
2	სასწავლო პროცესი	15 6 +8	კომპიუტერი პროექტორი + პლაზმური მონიტორი
3	კომპიუტერული კლასი	25	კომპიუტერი
4	სიმულაციური მედიცინის კლინიკა	12	კომპიუტერი
5	ბიბლიოთეკა	19	კომპიუტერი
6	ადმინისტრაცია	39	კომპიუტერი
7	სასერვერო	2	სერვერი

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის წარმართვასა და ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობაზეპასუხისმგებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური.